Center for Mental Health and Prevention of Addiction LTD
საიდენტიფიკაციოკოდი 404945164 Identification Code
საქართველო, 0186, თბილისი, ქავთარაძისქ N21ა
21a Kavtaradze street, Tbilisi, 0186, Georgia. **E-mail:**mhpa@mhpa.ge
Tel.: (99532)2300329; (99532)2301097 Fax: (99532)2301028

ხელშეკრულება N08/02/22 თარიღი: 21.02.22 წ

ხელშეკრულების ტიპი: სამედიცინო - ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ
ხელშეკრულების შედგენის/დადების ადგილი: ქ. თბილისი
ხელშეკრულების მხარეები:

დამკვეთი	**შემსრულებელი**
საფირმო სახელწოდება: სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი" **სამართლებრივი ფორმა: სსიპ** **საიდენტიფიკაციო ნომერი: 205307960** **იურიდიული მისამართი:** ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144 **წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:** დირექტორი-ალექსანდრე კუტიბაშვილი	**საფირმო სახელწოდება:** „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" **სამართლებრი ვიფორმა:** შპს **საიდენტიფიკაციო ნომერი:** 404945164 **იურიდიული მისამართი:** თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N 2 ჩიხი **წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:** გენერალური დირექტორი - ლაშა კილაძე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ჩაუტაროს დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, მის დასაქმებულებს კლინიკო-ლაბორატორიული ნარკოლოგიური შემოწმება (შესამოწმებელი ბიოლოგიური მასალა-შარდი).

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შემსრულებლის მიერ სრულდება ეტაპობრივად, დამკვეთის კონკრეტული მოთხოვნის (სამუშაოს და დროის მითითებით) შესაბამისად.

1.3. დამკვეთის კონკრეტული მოთხოვნით გათვალისწინებული სამუშაოს ფაქტიურად შესრულებაზე მხარეთა შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

1.4. სამუშაოს განხორციელების ადგილია შემსრულებლის მისამართი - თბ. ქავთრაძის ქ. ჩიხი N2 (ყოფილი თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N 21 ა).

2. მხარეთაუფლება-მოვალეობები

2.1 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას:

2.1.1 დაიცვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

2.1.2.შემსრულებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოკვლევები ჩაატაროს დამკვეთის კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში (დაუყოვნებლივ ან/და კონკრეტულ თარიღში), და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით - კვალიფიციური პერსონალის მეშვეობით.

2.1.3. შემსრულებელი გამოკვლევის შემდგომ გასცემს გამოკვლევის დამადასტურებელ დოკუმენტს (ცნობას) თითოეულ გამოსაკვლევ პირზე.

2.1.4. თუ დამკვეთის მიერ ერთი მოთხოვნის ფარგლებში მოთხოვნლია დიდი რაოდენობის პირთა (მინ. 20 ადამიანი) შემოწმება, შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს შესასრულებელი სამუშაოს გრაფიკის შედგენა და შემოწმების სპეციფიკაციის გათვალისწინებით გამოსაკვლევ პირთა წარმოდგენის უზრუნველყოფა გრაფიკის შესაბამისად.

2.1.5. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემოწმებასთან დაკავშირებული ყველა სამედიცინო ჩანაწერის და გამოკვლევის შედეგად მიღებული შესამოწმებელი პირის შესახებ მიღებული ინფორმაციის დაცვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის გაცნობის უფლებაც აქვს მხოლოდ დამკვეთს და შესამოწმებელ პირს.

2.1.6. შესამოწმებელი პირის მხრიდან შემსრულებლის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, შესამოწმებელი პირის ხარჯებით ჩაატაროს განმეორებითი გამოკვლევა.

2.1.7. დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს მისთვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული უფლებამოსილების ჩამორთმევის/შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ.

2.2. შემსრულებელს უფლება აქვს:

2.2.1. მოთხოვოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.2.2. დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2.3. დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას:

2.3.1. გადაუხადოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში.

2.3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოს გამოსაკვლევი პირების დროული წარმოდგენა შემსრულებელთან მის მიერვე შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

2.3.3. დაიცვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

2.4. დამკვეთს უფლება აქვს:

2.4.1.მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების პირობების დაცვა და ნებისმიერ დროს შეამოწმოს მის მიერ გაწეული მომსახურების მიმდინარეობა.

2.4.2.მოითხოვოს შესამოწმებელი პირის ან მისი ბიოლოგიური მასალის (შარდი) განმეორებითი გამოკვლევა დამატებითი ანაზღაურებით.

2.4.3. განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რომელიც კონტროლს გაუწევს შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობას.

3. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება და თანხის გადახდის პირობები

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 200,00 (ორასი) ლარს.

3.2. ცნობა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის შესახებ 1 პირზე - 30 (ოცდაათი) ლარი. ამასთან, ნარკოტიკების ჩამონათვალს განსაზღვრავს დამკვეთი.

3.3. დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ერთ ერთეულ ნარკოტიკულ საშუალებაზე (მათ შორის, 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე დამატებით) ერთჯერადი კლინიკო-ლაბორატორიული შემოწმების ღირებულებაა 10 ლარი.

3.4. ცნობა აღრიცხვიანობის შესახებ ერთ პირზე - 5 (ხუთი) ლარი.

3.5 მომსახურებების ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს ცალმხრივად შემსრულებლის მიერ, რის შესახებაც წინასწარ (არაუგვიანეს კონკრეტული მომსახურების გაწევამდე) ეცნობება დამკვეთს. ასეთი გარემოების წარმოეშობის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად უარი განაცხადის კონკრეტულ მოთხოვნაზე ან/და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, რის შესახებაც შეწყვეტის კონკრეტული თარიღის მითითებით აცნობებს დამკვეთს წერილობით. თუ ფასთა ცვლილების შესახებ დამკვეთს ეცნობა კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ, დამკვეთი მომსახურების ღირებელებას ანაზღაურებს შეცვლილ ფასამდე არსებული ტარიფით.

3.6. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემსრულებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3.7. დამკვეთი ვალდებულია ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს სრული ღირებულება.

3.8. „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ია სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" **სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველოს უფროსი.**

3.9. სამუშაო ითვლება შესრულებულად სამუშაოს ფაქტიურად შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტზე დამკვეთის ან მისი წარმომადგენლის მიერ ხელის მოწერის შემდეგ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაა ,,მხარეების" მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4.2.ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

4.3.ხელშეკრულება ვადის ამოწურვამდე შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

4.3.1. მხარეთა ურთიერშეთანხმებით;

4.3.2. შემსრულებლის ან დამკვეთის ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობისპროცესის დაწყების შემთხვევაში;

4.3.3. შემსრულებლისათვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული უფლებამოსილების ჩამორთმევის/შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში.

4.3.4. შემსრულებლის ან დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

4.3.5. ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4.4 ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს წერილობით მიეცემა გონივრული ვადა (არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა, თუ ხელშეკრულების კონკრეტული მუხლით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული) დარღვევის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარე, რომელიც არ შეასრულებს და/ან არაჯეროვნად შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მეორე მხარის წინაშე პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 შემსრულებელის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო, შეთანხმებული და წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის გამო დამკვეთისაგან მიღებული შენიშვნების და/ან პრეტენზიების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, დამკვეთი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს შემსრულებელის მიერ ზიანის ანაზღაურება ან გადახდილი თანხის დაბრუნება.

5.3 შემსრულებელი პასუხს აგებს მის მიერ გაცემული დოკუმენტაციის ნამდვილობასა და უტყუაობაზე, ასევე ხელშეკრულების საგნის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდებაზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, მას ეკისრება ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%.

5.5 დამკვეთი პასუხს აგებს ხელშეკრულებითა და კონკრეტული მოთხოვნით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის. ასეთ შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.1% ოდენობით. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსრულებელს შესაძლებელია დაეკისროს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.7 დამკვეთი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას გამოქვითოს შემსრულებლისათვის გადასახდელი თანხა ამ უკანასკნელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით.

5.8 დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულების" შესრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელებაში.

5.9 დამკვეთის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" **სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის შესაბამისი თანამშრომელი.**

6.ფორს-მაჟორი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების შემთხვევაში, ფორსმაჟორი და ფორსმაჟორული მოვლენა რომელიმე მხარისათვის ნიშნავს ისეთ მოვლენას ან გარემოებას, რომელსაც მოცემული მხარე სათანადოდ ვერ აკონტროლებს, რომლის თავიდან აცილება, შეჩერება ან გამოსწორება არ ხერხდება, მიუხედავად მოცემული მხარის ძალისხმევისა (შესაძლებლობის ფარგლებში) და რომლის შედეგადაც ან რომლის გამოც, რომელიმე მხარე დროებით ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

6.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდა ფორსმაჟორული პირობების მოქმედების სფეროში, ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.
6.3. არცერთ მხარეს არ მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულება და არ ჩაეთვლება ვალდებულების შეუსრულებლობად, თუ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი ფორსმაჟორული მოვლენაა. ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაცია, რაც შესაძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებების შესრულებას, განაახლებს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ მხარეთა უფლებამ-მოვალეობებს და იწვევს მისი სრულად შესრულების ვალდებულებას.
6.4. ფორსმაჟორული პირობების დამთავრებისთანავე, მხარე, რომელიც აღმოჩნდა ამპირობების მოქმედების სფეროში, ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.
6.5. თუ ფორსმაჟორული მოქმედება გრძელდება ან მოსალოდნელია გაგრძელდეს 1 (ერთი) თვეზე მეტი ვადით, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებ წინასწარ, არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, წერილობით აცნობებს მეორე მხარეს.

7. დავების გადაწყვეტა
7.1. მხარეთა შორის არსებული ყველა დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.
7.2. იმ შემთხვევაში თუ მოლაპარაკებებმა არ გამოიღო შედეგი, სადაო საკითხი გადაწყდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოში.

8. დასკვნითი დებულებანი
8.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ხორციელდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით და იგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ შესაბამის მისამართზე/ელექტრონულ მისამართზე, 8.2 პუნქტის გათვალისწინებით. ამასთან, მხარე ვალდებულია ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა აწარმოოს წერილობითი ფორმით, თუ ხელშეკრულების რომელიმე მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი პირდაპირ მიუთითებს წერილობითი ფორმით შეტყობინების აუცილებლობას.
8.2. თითოეული მხარე ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილი წესით მეორე მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია მე-9 მუხლში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების/დამატების შესახებ, რაც იურიდიულ და სავალდებულო მნიშვნელობას იძენს მეორე მხარისათვის მიწოდების მომენტიდან, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა შესაბამისი ცვლილება ხელშეკრულების ტექსტში.
8.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, რომელთანაც თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან დადგენილი წესით.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა:

დამკვეთი	შემსრულებელი
საფირმო სახელწოდება: სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი" **სამართლებრივი ფორმა:** სსიპ **საიდენტიფიკაციო ნომერი: 205307960** **იურიდიული მისამართი:** ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144 დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი;** საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი - TRESGE22 შიდა ანგარიში - 200122900 სახაზინო კოდი - 2703030701 **წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:** *დირექტორი* */ალექსანდრე კუტიბაშვილი/*	**საფირმო სახელწოდება:** „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" **სამართლებრივი ფორმა:** შპს **საიდენტიფიკაციო ნომერი:** 404945164 **იურიდიული მისამართი:** თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N 2 ჩიხი TBCBGE22 GE48TB7810436020100003 **წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:** *გენერალური დირექტორი*

_____	/ლაშა კილაძე/ _____

LEPL EMERGENCY SITUATIONS COORDINATION AND URGENT ASSISTANCE CENTER

Digitally signed by LEPL EMERGENCY SITUATIONS COORDINATION AND URGENT ASSISTANCE CENTER
Date: 2022.02.21 16:51:40 +04'00'

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2022.02.21 14:54:21 +04'00'